# AMENDMENT TO THE AGREEMENT BETWEEN THE DEPARTMENT OF DEFENSE OF THE UNITED STATES OF AMERICA AND THE MINISTRY OF DEFENSE OF GEORGIA CONCERNING COOPERATION IN THE AREA OF PREVENTION OF PROLIFERATION OF TECHNOLOGY, PATHOGENS AND EXPERTISE RELATED TO THE DEVELOPMENT OF BIOLOGICAL WEAPONS

Pursuant to Article VII of the Agreement between the Department of Defense of the United States of America and the Ministry of Defense of Georgia Concerning Cooperation in the Area of Prevention of Proliferation of Technology, Pathogens and Expertise Related to the Development of Biological Weapons, dated 30 December 2002, hereinafter referred to as "the Agreement", the Department of Defense of the United States of America and the Ministry of Defense of Georgia hereby agree:

1. To amend Article III, Paragraph 1 by replacing the words "five (5) million" with the words "fifteen (15) million."
2. To amend Article IV of the Agreement by adding new Paragraphs 4, 5, 6 and 7 as follows:

"4. The MOD or its designated agent shall collect and facilitate the transfer of requested pathogen samples to DoD for prophylactic, protective or other peaceful purposes, and share data with DoD generated by the disease surveillance networks of MOD or its designated agents in order for the parties to better detect, diagnose and monitor disease outbreaks in Georgia.

5. The MOD or its designated agent shall consolidate and store all dangerous pathogens at the National Center for Disease Control, or at other secure centralized laboratories designated in writing by DoD (hereinafter centralized laboratories). DoD may provide molecular diagnostics capabilities, improved electronic communications, and equipment for the safe and timely transport of field pathogen samples to the centralized laboratories.

6. Dangerous pathogens placed in centralized laboratories shall remain in those laboratories for the duration of the Proliferation Prevention Agreement unless removal is agreed to in writing by DoD.

7. The MOD or its designated agent shall cooperate with DoD annually to develop a plan describing the underlying assumptions, requirements and responsibilities for each project being undertaken pursuant to the Agreement, and the MOD or its designated executive agent shall certify each such plan as accurate."

This Amendment shall enter into force upon the date on which the Parties exchange written notifications confirming the completion by each Party of all applicable procedures required for the entry into force of the Amendment, and shall remain in force for the duration of the Agreement. Notwithstanding termination of the Agreement, Paragraph 6 shall continue to apply as between the Parties for the duration of the Proliferation Prevention Agreement.

In witness whereof, the undersigned, being duly authorized by their respective governments, have signed this Amendment.

Done at Washington, this 23rd day of March, 2004, and at Tbilisi, this 19th day of March, 2004, in duplicate, each in the English and Georgian languages, both texts being equally authentic.

For the Department of
Defense of the
United States of America:

For the Ministry of
Defense of
Georgia:

Paata GAPRINDASHVILI
Deputy Defense Minister

# შესწორება აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულებისა ბიოლოგიური იარაღების განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის, პათოგენთა და ცოდნა-გამოცდილების გაუვრცელებლობის დარგში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

2002 წლის 30 დეკემბერს ბიოლოგიური იარაღების განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიის, პათოგენთა და ცოდნა-გამოცდილების გაუვრცელებლობის დარგში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ
აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შეთანხმდნენ:

1. შესწორდეს მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. სიტყვები "ხუთი (5) მილიონი" შეიცვალოს სიტყვებით "თხუთმეტი (15) მილიონი".

2. შესწორდეს მე-4 მუხლი და დაემატოს ახალი პუნქტები 4, 5, 6 და მე-7. კერძოდ:

"4. მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და მისი წარმომადგენელი შეაგროვებს და გადასცემს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტს პათოგენურ ნივთიერებებს პროფილაქტიკური, დაცვითი ან სხვა მშვიდობიანი მიზნებისათვის და გაუზიარებს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენს იმ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ან მისი წარმომადგენლის სპეცგანყოფილებების მიერ, რომლებიც თვალყურს ადევნებენ ავადმყოფობების გავრცელებას. ეს უნდა გაკეთდეს იმ მიზნით, რათა მხარეებმა დროულად მოახდინონ საქართველოში ავადმყოფობების აფეთქების კერის დაფიქსირება, დიაგოზი და კონტროლი.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და მისი წარმომადგენელი შეაგროვებს და შეინახავს
ყველა საშიშ პათოგენურ ნივთიერებას სნეულებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ან სხვა კარგად დაცულ ლაბორატორიებში, რომლებსაც დაასახელებს წერილობით ფორმაში აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი და რომლებიც დოკუმენტში მოიხსენიება, როგორც ცენტრალიზებული
ლაბორატორიები. აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა შეიძლება უზრუნველყოს მოლეკულური დიაგნოსტიკის, გაუმჯობესებული ელექტროკომუნიკაციის საშუალებანი და აღჭურვილობა შეგროვილი პათოგენური ნივთიერებების ცენტრალიზებულ ლაბორატორიებში უსაფრთხო და დროული ტრანსპორტირებისათვის.

6. საშიში პათოგენური ნივთიერებები მანამ უნდა დარჩეს ცენტრალიზებულ ლაბორატორიებში სანამ არ შეწყდება ამგვარი ნივთიერებების გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება. გამონაკლისი დაიშვება, თუ ლაბორატორიიდან ამ ნივთიერებების გატანაზე წერილობით ფორმაში იქნა მიღებული თანხმობა აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტიდან.

7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ან მისი წარმომადგენელი ყოველწლიურად ითანამშრომლებს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტთან, რათა მხარეებმა შეიმუშაონ გეგმა სადაც ჩამოყალიბებული იქნება წინამდებარე შეთანხმების ძალით წამოწყებული ყოველი ცალკეული პროექტისათვის აუცილებელი მოთხოვნები, მოვალეობები და სავარაუდო პარამეტრები. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ან მისი წარმომადგენელი თითოეულ ამგვარ გეგმას როგორც ზუსტს ისე დაამოწმებს.""

ეს შესწორება ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც მხარეები გაცვლიან წერილობით შეტყობინებას იმის შესახებ, რომ ორივე მხარემ შეასრულა ყველა შესაბამისი პროცედურა, რომელიც აუცილებელია შესწორების ძალაში შესვლისათვის და ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების დასრულებამდე. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი,მე-6 პუნქტი კვლავაც იმოქმედებს მანამ,სანამ მხარეებს შორის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება.

რაც დასტურადაც ქვემორე ხელისმომწერნი, რომლებიც შესაბამისი მთავრობების მიერ არიან უფლებამოსილნი ხელს აწერენ წინამდებარე შესწორებას

დოკუმენტი ფორმდება

თბილისში 200 4 წლის 03 თვის 19 დღეს

და

ვაშინგტონში 200 4 წლის 03 თვის 23 დღეს

ორ ეგზემპლიარად ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს
უფლებამოსილებით:

პაატა გაფრინდაშვილი
საქართველოს თავდაცვის
მინისტრის მოადგილე

აშშ-ს თავდაცვის
დეპარტამენტის
უფლებამოსილებით: